ნი იკოდა, რომ მას «ქართლის ცხოვრების» პირველი  
ცომაც შეეძინა და განუწყვეტლივ სულ მას კითხულობ-  
და, თუმცა, როგორც ვიყო და როგორც თვით დავითა-  
შეილსაც უთქვაშს ხოლმე, გაგებით კი არაფერი ესმოდა  
ისე, როგორც რიგი და წესია. ზემო აღნიშნულის წლი-  
და ჩენმა გაცნობამ ისე გასტანა და 1873 წელს კი ერთ-

միշտու Ըաստվածութեա. ամ ենու ցանմացլոծամի Ըաստա-  
Շեուլս Շյեմինա տրումուրան մեջու օւտոհուա, հռմելուսպ  
տրուու ցասկետա են զւա և են պայուղեծուտ ամո-  
քիրուու; ամաս ցարդա ցոյունա բումուու մտացար ցուսլուասուս  
«մոցչասրուոծա», ուսանց հրուսուս մուրուուլուուս «մոմե-  
ցլա», անգուն ցատալուցնուս «իշունուլ-սուպյանծա», ուսեպ  
տօնուց մուրուուլուուս «գունու մուսհացանու» լոյքիսալ  
և ցոյրամի՛շեուլուս «Ըաստանունու». պայուղա ամ Շիցնեմի ցան-  
սապյուտրեծուտ ԸաստաՇեուլու զութ ցուլուալ-  
ցոնցուտ կոտեխուլուած և պայուղեցուս և պայուղան օմաս  
մյուսագունցի՛ւճա, հռու ամ ցարու Շիցնեմի ց՛շունա սաժմի. ամ  
Շիցնեմի ցարդա պայուղա կուցու սալմրտու Շյիրուուս կոտեխա  
և լուսպա. հապ Շյեմեծա կոտեխաս, յի ցրտան մեմբետ  
ուռուա և Շյիրա մեցուս-մերտա սոմմինցուու, այս հռու տա-  
ցուս սաելու և ցարուս մուշերապ յու պայուղեցուու. ամ  
մեհուուտ ցանցեցնեցուու տացուս Տոյուուլուս օղոյմուս ույց Ըար-  
իս և Շյիրանու ցըրա սաՇեալուցուտ ցըր ցանի՛րուա եղու. Հրու-  
սուսուլու Շյիրա-յուտեխա պուրատ ուռուա և Շյեմեց և լո  
Շյեմեց պայուղա յիշեցուա հրուսուլս յուտեխաս և ծուլուս  
օյշմուս մուլինա, հռու համօցնույց լոյքիսուս Շննահուս հրու-  
սուլուամապ ցամուուլու. ամ օրուս մյու մալուն Ըաստվածուց-  
ու մաս և ցալացուու ոտեխ Շլուս ցոյրնալու «մնատունուս»  
նոմիրեծու, հռմլուցու մատոն սայմառ եանս ձարիս, մացրամ  
հռուսա մուրուան, մանուն ալմոհնճա, հռու պայուղա օնոն ցա-  
լացյուտեխ և ցալացուու պայուղա անգուն ցոյրնպ-  
լամուս «գունու մուսհացանու» սաելմի՛շուու ցլոյքեծուս լիոցրե-  
նուած մուցու ցոյրնպասուս մուտերուա «յուրեսա» ամայիս  
ցարդա ցարուանալ մունցուրուու մասեսուս «լուսմա პուրուս ամիսց»

და კომისის «ბავშვების მოელას». ამ ქურნალის გადაკითხების შემდეგ მე მას გარდავეცი ქურნალ «კრებულის» უცელა ნომრები, რომლებიც სულ ორი თების განმავლობაში წაეკითხა და მასში დაბეჭდილის «გლახის ნააბობისაგან» ერთობ აღტაცებაში იყო მოსული, აგრეთვე მოსწონებიყო «აჩრდილი» და არსენას გარჩევა, «საღლევრძელო» და სხვანი. ქურნალ «კრებულის» შემდეგ მან წაიღო «საქართველოს მთაბე», მაგრამ მან ეს ერთობ მაღლე დაბრუნა, რადგანაც ამ ქურნალში დაბეჭდილი სტატიების უმეტესი ნაწილის შინაარსი კითხვის დროს ვერ გაეფო. ამ ქურნალების შემდეგ მან დაიწყო «ცისკის» ნომრების შეძენა და იგი უფრო იმ ნომრებს ჰყილულობდა, სადაც უფრო საქართველოს შესახებ რამე სტატიები იყო დაბეჭდილი: ქართველთ მეუეთა ქება, გალლონება, ვაჟკაცობა და სხვანი. ასეთი წიგნების კითხეით დაეითაშეილი იმ წერტილამდეს ავიდა, რომ ხშირად გოლებასა და გმირებასაც იწყებდა ხოლმე. ამავე წელს წაიკითხა მან ბარათაშეილის «ბედი ქართლისა», რომელიც 1858 წლის «ცისკარშია» დაბეჭდილი და ვაზროვნებ რაბელიანის «იმედი» ამავე ქურნალში დაბეჭდილი, 1868 წ. ამების კითხეით ხომ სულ შეიცვალა იგი და ბოლოს კი სულ სხვა კაცად გარდიქა. ამ გვარ წიგნების კითხეით დაეითაშეილი ერთობ კმაყოფილდებოდა და ბოლოს. იქამდის მიეიღა, რომ თეიოონაც დაიწყო ლექსების წერა საქართველოს მეუების შესახებ. ერთი ამისი ლექსი «საქართველოს დელოფალი», დედა ქართლისა თამარი» სახალხო სათაურის ზედ-წარწერით გადასცა «დროების» რედაქციას, სადაც მოწონებული იქმნა და დაბეჭდილი, რომელსაც დღეს სახალხო ლექსს უწო-

დებენ, მაგრამ ეს ასე არ არის, მე ნამდევილათ ვიტი, რომ ეს ლექსი მან დაწერა და ერთ თავის ძელებურ ანბავში «დიდების ეკულესია» — ჩაურთა, რომელი ამბავიც 1877 წ. «დროებაშია» დაბეჭილი. ეს განგვებ მოახერხა, რომ ეგები ასეთის სათაურით მაინც დამიშეკლონა.

ასეთის წიგნების კითხეთ დაეითაშვილი ერთობ გატა-  
ცებული იყო და მას ჩევნის წარსულის უკველი პირი,  
მაცნე თუ კარგი, სულ ერთად მაჩნდა. ამ ხანებში ის  
სწერდა მეფების შესახებ ლექსებს, რომლებშაც მათ  
დასტიროდა მწარეთ, მაგრამ არც ერთ იმ ლექსს კი არ  
იჰკოებდა, რადგანაც ზოგს მე უწუნებდი და ზოგიც თვი-  
თონ არ მოსწონდა. ამ ხანებში დაწერილიდამ მას შერჩა  
მხოლოდ რამდენიმე ძელებური ანბები და ლეგენდები,  
რომლებიც 1877 წ. «დროებაშია» უკლეონებათ არიან  
დაბეჭილი. ამ ფელეონებს ზოგს ასო ი. დ. და უცის  
ბოლოში და ერთ თუ ორ წერილსაც ბოლოში «ძელი  
გარდატანელია» აწერია. დაეთაშვილის პირველი ნაბაჯი  
აქციამ დაწყო ქართულ მწერლიბაში და მას რომ საქმა  
რის განათლება ჰქონიყო, მაშინ ის მწერლობას თავს  
სიკედილის დღემდის ხელობათ გაიხდიდა და ამ ხელობა-  
შივე ამოუერდოდა სული.

ჩევნი მეგობრული კაცირი მარტო იცაში არ გამოიხა-  
რებოდა, რომ სადმე ტრანსტირში დამშედარეიავით და ჩვე-  
ნი წარსულის კაცი-კალია და ტირან-გმირების სადღეგრძე-  
ლოები გვეცა და ქულიც ქერძი გვესროლა ისე, როგორც  
ჩევნმა ბობოლა გმირებმა იტან, რომლებიც ხშირად უფ-  
რიბებიან ხოლო სხვა და სხვა ხეივანებში, განსაკუთრე-  
ბით ორთაჭალას ბაღებში, ჩარხებთან, თევიანთის ლაზა-

თებით და ლამაზებით და სადაც აუარებელ ნაცელეფ-წა-  
გლევ ფულებს ფლანგავენ და რომელ ფულებითაც თა-  
ეითონთ ე უარეს და სი ხლის მწოდელ ჩარჩებს და ხალხის  
მყელევაცებს ამდიღრებენ; სადაც მიიჩიტმევენ ისეთი გმირ-  
ბის საღლევრადელოს და შესანდობარს, რომელთაც თავი-  
სის დესპოტოური საქციილით ისეთ მცუდნე და «ქართლის  
ცხოვრებისა თქმულს «კაცს მეცნიერს და ბრძენს» პატა  
ბატონიშვილს და იმისთანაებს საქცენოდ თავებს სკრიდ-  
ნენ და მიწასთან ანადვურებდნენ.

ჩეენ, ჩეენის მევიზანების მეობებით განვიზრახეთ თბი-  
ლისში სელისა მუშათ შეგირდების პატარა წრის შედგე-  
ნა, რომელშიაც პატარა შეგირდებს უნდა დაეწუოთ სია-  
რული და ჩეენც იმათვის უქა გადაგვევითხა ჰოგირთი  
ნაწერები ჩეენის მწერლებისა, შეგვესწევლებინა რამდენიმე  
ბიჭისათვის წერა-კითხვა, მასთანაც მათთვის გაგვეურნ ჰო-  
გირთი ჩეენმული წიგნები და როცა მათ ვასწავლილით  
და გაეცასწერნათნილით, მაშინ მათთვისაც უნდა მიგვეცა ნე-  
ბა და საშეალება წიგნებით, რომ მათაც თავიათ მეგო-  
ბრებში გაეცარცლებინათ როგორც წერა-კითხვა, აგრითევ  
ქართველთ მწერალთ საუკეთსო ნაწერები. 1876 წ. ჩეენ  
შევადგინეთ უკვე პატარა წრე და ამით დიდათ ემედო-  
ენებდით, რომ ამ წრის შედეგნით ჩეენ ბექრს ნორჩ ყმა-  
წეილ კაცს ავალდენლით ტრახტრიშა კვირა-სალამობით  
თრევა-ხეტიალს და იქ ზნეობით და ხასიათით დაცემას.  
ჩეენ ხშირად დაედიოდით ტრახტრიშბში და იქ რომ სხეა  
და სხეა სელობის შეგირდების გარყენილებასა და უხსია-  
თობას უჯურებდით ეს ჩეენს სულსა და გულს შხამიერი  
ევლებოდა, ჩეენ დიდათ ესწუხდით მაზე, რომ იგინიც

ჩეკინსაებთ მწიგნობრობას არ მისდევდნენ. ერთ სალაშოს ჩეკინ კიდეც გველრისა მოხერხება. კრებაზე პირველი აღგილი მე მევავა და ამავე სალაშოს მე უნდა წამევითხა რაიმე ნაწერი. ამ სალაშოსთვის მე დამზადებული მქონდა მოთხრობა «გლახის ნაამბობის» წაკითხეა. ეიზრე ამას დავიწყებდი, მე წარმოადგინე მოკლე სიტყვა, რომლითაც აეცხსენი ბიჭებს მიზანი ჩეკინს კრებისა. ჩემი სიტყვა ღილის მოწიწებით ისმინდს. იქ მყოფმა ბიჭებმა ყველამ პირობა მოგვცეს, რომ ჩეკინ უკველ კეირა სალაშოით ეკულით აქარო. ამის შემდეგ დავიწყე «გლახის ნაამბობის» კითხეა და ათის ნახევრი იქნებოდა, რომ გავათავე; ამ წიგნის კითხვამ ღილი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე და პეტიას ამბავმა ბევრი ატირა კიდეც. მხოლოდ ერთ ადგილას მოხსენებული სომები არად მოეწონათ ზოგიერთებს, რადგანაც შეგირდებში ზოგნი სომხის სარწმუნოების ქართველნიც იყვნენ. შემდეგ კრებაზე ჩეკინ წავიკითხეთ მისევე აკორის «მუშა», «რამდენიმე სურათი ყაჩაღის ტორერბიდამ», მიქაბერიძის «მთხოვნელი შავულისადმი», აკაკის «ჰოპუნა» და «მუშური», რომლებმაც ერთობ ალტაცებაში მოიყვანეს ბიჭები. მესამე კეირას ჩეკინ წავიკითხეთ მოთხრობა «სურამის ციხე». ამის შემდეგ ჩეკინ უკველ კეირა და უქმე დლევბში ვიკიბებობით და ვკითხულობდეთ ქართულ ეურნალ-გაზეთებში დაბეჭდილს წერილმან მოთხრობებს და ლექსებს. ბოლოს მე წავიკითხე ანტონ ფურცელაძის «ქიტესა» და ილია ჭავჭავაძის «გლეხების განთავისუფლება», რომლების შემდეგ მე კითხეაზე უარი ჭათები. რაღაც კეირამით მე ისეც დიდათ ეიღლებოდი ჩემის შრომისაგან და ას: კითხეას როგორდა აწირან-

დი. ჩიგი დაეითაშეიღებულზე მიეიღა, მაგრამ რადგანაც ის იქ  
დროს კითხვაში ვაძარჯიშებული არ იყო, ამიტომ ისევ მე  
უნდა დამეტყო კითხეა, მეტი ღონე არ იყო; წასკითხავად  
მე ამოვირჩიე ანტონ ფურცელაძის «დიდი მოურავი» ეს  
ტრაგედია ჩენ თუ საღამოზე წავიკითხეთ და ამის კითხეა  
ზოგისათვის დიდ საინტერესოთ დარჩა და ზოგმა კი ხეი-  
რიანათ ეერაფერი გაიგო რა. ამ ტრაგედიის წაკითხების  
შემდეგ მე აუთ გაეხდი და საქმეც დაიშალა. შემდეგ წელ-  
ში ჩენ ისევ შევიყრიბენით და წასკითხავათ ამოვირჩიეთ  
ან ფურცელაძის «სასოფლო წერილები» და «მამულის  
საერთო მფლობელობაზე», რომელნიც იმ დროის სა-  
მეურნეო განეთ «გუთინის დედაში», დაიბეჭდა. ბოლოს წაეი-  
კითხე მე ამავ ავტორის თხზულება «სამის თავს გადასავალი»,  
ამ მოთხრობის უბედურის მაშის ამბავმა ბევრი მსმენელე-  
ბი ატირა. ამ ნაწარმოებების კითხვამ დიდი გაელენა იქო-  
ნია განსაკურებით დაეითაშეიღები. ამის შემდეგ და-  
ვთავაშეიღები ძირეული ცელილება მოხდა და იგი სულ  
ისეთ აღწერაებს მთხოვდა და ექტბდა, რომდებაციაც სოფ-  
ლის ან ქალაქის ხალხის უზორება იყო აწერილი. ამ  
ხნის განმავლობაში დავითაშეიღი რუსულ წერა-კითხეასაც  
მიეტევა და მის შემდეგ მე დამიწურ თხოვნა რუსული წი-  
გნებისა. ამ დროს ის სხვა და სხვა უხეირო წიგნებს კით-  
ხულობდა. რომდენიმე ხნის შემდეგ მე იმას გარდავეცი  
ოვენის თხზულება, რომლის გაგების იმედი იმისგან მე არ  
მქონდა, მაგრამ წაკითხვის შემდეგ, როცა წიგნი მომიტა-  
ნა, მე მას ამ წიგნის შინაარსი ვკითხე და მან თავი-  
სებურათ ამიხსნა. ამის შემდეგ მე მას მიეკუთხოვსკის  
სტატია «სიბირის გლეხები», რომელიც იმ დროის კურნალ

«დელო»-ში იყო დაბეჭდილი. ამის შემდეგ გადავეცა მიხაილოვსკის სტატიები ეერთის მუშების ასლოციაციებზე და ბოლოს წაიკითხა გაიდებუროვის სტატია რუსთის სტალ-ჩების არტელზე, რომელნიც უურნალ «დელო»-ში იყო დაბეჭდილი. ეს სტატიები თუმცა ერთის მხრით ისებდ დაეითაშეილისთვის ძნელი გასაგები იყვნენ, მაგრამ მეორეს მხრით იგი შიგა და შიგ რეთ ცნობებს ხედავდა და კითხულობდა, რომელითაც იცი სიამოცნებდა, თითქოს მთელი სტატიების შინაარსები გაუგიაო. ამ სტატიების შემდეგ მან დაიწყო რუსული უურნალების კითხვაცა, მაგრამ უკანასკნელ დროს კი ამ უურნალებში ასეთი სტატიების კითხვას თავი დაანება მან და უფრო ლექსების კითხვას გაჰქია, რადგანაც ბევრს ლექსს ერთობ მიეზიდათ. რუსული ლექსების შეუვარებით ბოლოს იქამდის მიერდა იგი, რომ მე მთხოვა რუსის პოეტების ნაწერები, განსაკუთრებით იმისი, ვინც პირველი იკავო. მე გადავეცა იმას პუშკინის თხზულებების პარველი ტომი, ბოლოს ლერმონტოვისა და ამათ შემდეგ კოლუოვისა; კოლუოვის შემდეგ ნიკიტინისა, პლეშჩევის და მინაევის ლექსების კითხვა დაიწყო და მას ყველაზე უფრო კილცოვე მოსწონებოდა. ამის შემდეგ მან დამვალა, რომ მისთვის მეშონა კოლუოვის და პუშკინის ბიოგრაფია და ის წერილებიც თუ ენ რა დასწერეს მათზე. მე უშორენ ესა და გადავეცი, ბოლოს გაეცანი ბელინსკის ჰაზრი კოლუოვის შესახებ, ამის შემდეგ ვაჩენენ პისარევის ის ტომი, სადაც იგი კოლუოვზე ლაპარაკობს და ბოლოს უამბე ისიც, თუ პისარევი რა შეხედულებისა არის კოლუოვზე. ამით მან ისე შეუყვარა პისარევი, რომ მისი ნაწერების თხზუნაც დამიწ-

კო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კითხვის დრის ექტაფერი გაევო, გარდა ერთის სტატიისა «ფუტკრებისა». ამის შემდეგ იგი ისე ლექსების კითხვას მოუბრუნდა და ყოველთვის იმას მეცანიერობდა, რომ საღმე რამე პოვტების ნაწილები მოეპოვებინა. იმან ბოლოს შეიძინა კოლუოვის ლექსების სრული გამოცემანი და სიკედილის დღემდის საწყალი სულ ამ კოლუოვის, ნიკიტინის და სურიკოვის ლექსებს ჩატეროდა შივ და ყოველთვის იმას ნატრიობდა, რომ ასეთიერ ლექსები მოეპოვებინა მას საღმე და ეკითხა. კუნდა სისწორით ესთქვათ, რომ ამ გეორ წიგნების და ფურნალ-გაზეთების კითხვით განვითარდა ისახებ დავითაშვილი და იგი სიკედილის დღემდის ამ წიგნებთა მოძლეულების მიმართულების გაელენის ქვეშ შეუჩეველათ დარჩა. ამ გეორ მხარეებში ქართული მწერლობაც ჯამარისათ ეხმარებოდა. განსაკუთრებით ასეთი წერილები: ჩეენ გლეხეა-ცობაზე, რომელნიც ჩეენ ზემოთ მოეხსენეთ და ანუ 1877 წ. «იერიაში» დაბეჭდილი წაკოლას წერილები. ქართულ ლექსებში და მწერლებში ცველაზე შეტი გავლენა გურამიშვილსა ჰქონდა დაეითაშეილზე და ესეც თითქმის გურამიშვილის კილოთიერ სწერდა თავის ლექსებს და შეგაც თითქმის გურამიშვილის მიმართულებითვე ამულარებს უსწაველელ ხალხს წიგნის ცოდნის საჭიროებას და სრგანი. ბ. შაქრია გულისაშეილმა ამ მხრით დავითაშეილის-განვითარება მხოლოდ ქართულ მწერლობას მიაწერა, შეცავ დაერწმუნებოთ ამ მწერალს, რომ დავითაშეილზე ჩატერ ქართულ მწერლობას არ ჰქონდა გაელენა და დაუთარებილი მართლა და მარტოთ ქართული მწერლობისა-გან არ არის აღმზრდილი და იყი მარტო ქართულ მწერ-

ლობის გონებრივის ძალაუნებაების შეიღათ ამ ჩაითელება. ქართულ და რუსულ მწერლობას გარდა იყო იუნობდა რამდენიმე ისეთ ახალგაზდა პირებს, რომლებმაც აცხირად დადიოდა ხოლმე (1877 წლიდან—1881 წლამდის) და ამ პირებთან იგი ხშირად პეტრ მსჯელობითი მხარეებსაც ისმენდა ხოლმე და ესტო მსჯელობითი და ზეპირ გარდომაცემითი ცნობებს უფრო მეტი გაელერა ჰქონდა მის გონებითი განვითარებაზე, კოლერე ქართულ მწერლობას და რუსულსა, რომლებსაც საწყალი ხმა მაღლივ ექიმ კი კითხულობდა. დაეითაშეიღლს პარველ ხანებში ისეთ საუკითხეს პირებთან ჰქონდა კაუშირი, რომ იგი ამ ახალგაზდა პირების მეოხებით უკეცელია ისეთი პირიც უნდა გამოსულიყო, როგორიც გამოედა კიდევაც. ამ პირთა გავლენის ქვეშ იგი დარჩა 1884 წლამდის და ამ ხნის შემდეგ იყო შეეიღა სხვა წოდების მოიქეთარ ინტლიგენციის გაელენის ქვეშ, რაის გამოისახითაც იგი ცოტაოდნათ გამოყრუებას მიეცა და წინ მსელელობას და ხერიანი ლექსების წერის მაგიტრ უფრო უხევრრო ლექსების წერა დაწყო. ამის მიზნები ის იყო, რომ მისი წინანდელი რწმუნებაები მასში გაჰქრენებ და გაგრილდნენ, რომლის გამოსახითაც იგი გარდამეტებულ მისტერიულ მდგომარეობაშიაც ჩავარდა. ამას მისი ლექსების ის ადგილებიც ცხადათ ამტკიცებს, სადაც ის მეტაფიზიკით თავის ლექსებში დაბალი ხალხის ბედნიერებას სულ უხილავ ძალებს აწერს და ის ამ ხალხის გამოსახით გარდამეტებითი იღიალისტიკურ ოცნებებშიაც არის ჩაერდნილი, რომლებსაც გარს ჩაღაც ნაირი ობობას ქსელივით განყენებული პაზროვნებანი ახვევია და რომლების მეოხებითაც მისი ლექსების

ის ლიტერატურული სრულიად დომანიჯვებული არის, სადაც იგი შეკარის იდიალიზმისაგან შორს გამდვარი ცხოვრიბის უმაღლეს წერტილის აღორძინებას ჰქადაგებს. მაგრამ მისი განკურენული მსჯელობითი მთარები ამ ლოკოლებულებსაც ახდენენ და მის ლექსებს თავის სახალხო მნიშვნელობაც ეკარგება. დავითა შეიღილ რომ თავის სიკედილის დღვემდის ცხოველ მწერლობასთან და მწერლებთან ჰქონიუო კავ-შირი, მაშინ უეჭველია მას მცირეოდენი კრიტიკული ძალიერებისაც ეცოლინებოდა რამე და ის აპის მეოხებით თავის ლექსებშიც ბევრ რაღაცა განკურებულ არსებობზე ქადაგებავს არ მოჰყებოდა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამის გაგება იმას არ ჰქონდა და უმისათ კი მისი ლექსების ღირსებაც ჩაიგიანად წინ ვერ მიღიოდა.

იოსებ დავითა შეიღმა ლექსების წერა დაწყო 1875 წ., მაგრამ იგი 1877 წლამდე არ ბეჭდავდა. ამ წელს «ლოკებაში» დაგენერა რამდენიმე მისი წერილმანი ამბები და ამ ამბების გარდა ორი თუ სამი ძელებური ამბებიც. ამ წერა-როლების დაბეჭდილის შემდეგ იგი ისრე წახალისდა წერაზე, რომ სულ იმას ჰფიქრობდა, რომ რა დაეწერა და რა დაებეჭდა «დროებაში», როცა ის თავის ნაწერს ნახავდა «ლოკებაში» დაწერდილს, მაშინ მის სიხარულს და აღტა-ცებას საზღვრი აღარა ჰქონდა ხოლმე. რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენი უფრო მეტალინებდა იგი, რომ წერა-ში გამართულიყო და გონებითაც განვთარებულიყო. ამი-ტომ იგი ლექსების და წერალი ამბების წერის მეოხებით დაუახლოედა ქართულ უურნალ-გაზეთების რედაქციებს, სადაც იგი ხშირად დასარებოდა ხოლმე. რასაც დასწერდა იმას რამდენიმე ხანს ინახავდა და ბოლოს წაიღებდა რო-

მელიმე რედაქტორი დასაბუღდათ, მაგრამ, სამწუხაროდ იქიდაშ ხშირად დაღონებული ბრუნდებოდა სახლში საწყალი, რადგანაც არ უბეჭდავლენენ. სანამ გაზეთი «დროება» კურნალ «ივერიას» შეუკრთლებოდა, მანამდის მესხი თითო ორილა ძელებურ ამბებს, ლექსებს და წერიმალ ამბებსაც უბეჭდავდა. ამ გაზეთის «ივერიასთან» შეერთების შემდეგ კი მის ლექსებს მხოლოდ რედაქტიის პორტფელს აჩვენებდნენ ხოლმე, თორებ ბეჭედით კი არაფერს უბეჭდავლენენ. ერთხელ თუ ირჯერ დიდის ვაი-ვაგლახით და წელებით ელირსა იმას, რომ «დროებაში» ორი ლექსი დაუბეჭდს, სუკ მართლოდ იმიტომ, რომ გასაფულის გამო მესხი ქალაქში არ იყო და მაჩაბელს გაზეთის მასალა ცოტა ჰქონდა. ამ ლექსებიდებან ერთი მისი ლექსი შემდეგ «სტერიში» დაბეჭდა.—საწყალი ერთავათ სულ იმას ჩითადა, რომ არაფერს მიბეჭდავლენო, ჩემს ლექსებს თითქმის ლექსებათაც კი არ სცობდენ! ამას გარდა დაეკითხებულმა მითხრა, რომ ერთმა პატივურემულმა პირმა საცელურიც მითხრაო: რა არის რომ აგიტებნია გლეხები და ამ გლეხებზე ძახილმა ლამის ყურები გამოგვიტელოსო. ეს საცელური იმას ისე სწუნებულ და გულზე დაღალ დასწენებულა, რომ ამ დღის შემდევ ის სრულიად გზა კელდაბნეული შეიქმნა და გამორკვევეთ არ იყოდა რა ეწერა, რომ მის მოსაცელურებს მოსწონებიყოთ. ამისთანა უსიამოებით და ვაი-ვაგლახით, როგორც იქმნა 1881 წლამდის მიაღწია; ამ წლიდამ კურნალ «იმედის» გამოცემა დაიწყეს, მაგრამ პირველ წელიწადს არც ამ რედაქტი დაბეჭდა მისი ლექსები, მიზეზი არ ვიცით თუ რა იყო. სამაგიტროდ მორჩი წელიწადს, როდესაც დაეკითხები

დაუახლოედა ამ რედაქტიას, მაშინ თემედისა რედაქტორმა დილის სამოვნებით დაიწყო მის ლექსების ბეჭვდა, რომლითაც დაფითაშვილს მაღა გაეხსნა და ძლიერ წახალისდა ლექსების წერაზე. ამ უურნალს რომ დიდხანს ეცოცხლა, მაშინ დაფითაშვილის ლექსები იმაში ხშირად დაიბეჭდებოდა, რომლითაც მას ასცდებოდა თავიდამ ის შეუხარებაები და ჯაერი, რომლებიც იმას სხვა რედაქტიებში მიაყნეს.

ამ უურნლის დახურედ თავზარდაცემა იყო და ეთაშვილისთვის, იმას ისე სურდა ამ უურნლის სიცოცხლე, რომ თუ რამ უეძლება ჰქონიყო, იმასაც კი არ დაიშურებდა და მისცემდა რედაქტიას, ოღონდ კი გამოცემა გაგრძელებულიყოს. ამ უურნალის დაკეტას შემდეგ როგორც ზემოთ ესთქვით, ისევ საღრიტინ-სახეეწარ მდგომარეობაში ჩაეარდა დაფითაშვილი. როდესაც ის ჩამეს დაწერდა და მიიტნდა «დროების» ან «ივერიის», რედაქტიებში, ცუცლას იმას ეხევწებოდა და შეცლრიტინებდა, რომ რამე გზით იმისი ლექსი დაებეჭდათ ხოლმე, მაგრამ არ იქმნა, ვერ ეღირსა ის საწყალი ვერც ერთი ლექსის დაბეჭდეს ისე, რომ მისი გამაისობით მთელი თვეები არ ეცლოს რედაქტიებში და ხან ერთს არ ხევწნოდეს და ხან მეორეს. ამ საქმეში იგი ერთს პირს დიდათ ექადლიერებოდა და ყოველთვის იმას იძახდა, რომ რედაქტიაში ეს პირი რომ არ ყოფილიყო, უიმისოთ ჩემ ამა და ამ ლექსს არ დაბეჭდავადნენო, მაგრამ მან შეასწორა და გადასცა რედაქტიას დასაბეჭდათო და ამიტომ უარი ეცლარა სთქვეს და დამიბეჭდესო. ერთის სიტყვით საწყალი სულ იმას ჩიოდა და ტორ როდა, რომ რატომ არ მიბეჭდავნ ლექსებსაო. უურნალ «ივერიის» რედაქტიაში სულ არაფრად სუნა ჩემი ლექსებით,

ამბობდა ხშირად დაეითაშეილი. ამ ღრუს იმან დასწურა ერთი  
ლექსი «ირლვევა წმინდა ტაძრები», რომელიც იმავ ღრუსის  
«ღროებაში» დაიბეჭდა კიდევა და რომლეთაც მას ი. ე. მიე-  
ცა იმედი, რომ ის თავის ლექსებს ხშირად ნახავდა «ღროე-  
ბა—იყერიაში» დაბეჭდილს, მაგრამ იმედი ერც შემთევში  
გაუმართლდა. ამისთვის გარემოებების შემწეობით დაეითა-  
შეილი თითქმის ტაძრდა ხოლმე, რომ ქართულ რედაქ-  
ციებში რათ მიშერებიან ამებსაო, რატომ არ მიბეჭდავენ  
ლექსებსაო. სირცხვილი არ არისო, მაგათთანა განათლებულ  
კაცებს შეეფრება ესაო! ამით უჯადიან ესენი ქვეყნას სი-  
კეთესო?... ესენი ჰქონდა ერთობასა და ძმობასაო,  
ესენი წიგნის ცოდნას კი არ აერცელებენ ხალხშიო, არა-  
მედ მრავალ მსურველებსაც უსპოვენ სწავლასაო; თუ არა  
და რისთვისა და რათა შერებიან ამაებსო, როდესაც მე  
თეითონ ჩემის თვალით ეხედავო, რომ ჩემს ლექსებზე  
უფრო უხეიროს კი სხვებს უპერდავენო, მაგრამ გაეიგე  
უველაფერი, რომ აქ სულ ნათლიმამობა ყოფილათ...  
ქართული რედაქციების ესეთი საქციელით დაეითაშეილს  
ისე აუცრუვედა გული თავის ხელობაზედ, რომ იგი ერთს  
საათ ვეღარ დგებოდა დაზგაზედ სამუშავოთ, შუა დღე  
მოვიდოდა თუ არა და მაშინათვე, რომელიმე რედაქციაში  
წავიდოდა, საღმონ მოაღწევედა და მაშინაც ესრულე იქცეოდა.  
ესრუ აწეალებდნენ საწყალ დაეითაშეილს მისი ლექსების  
ბეჭედის გამო. არ იფიქროთ, რომ მე ამას ჩვენი რედაქ-  
ტორების მტრობით კამბობდე, არა, მე მათთან სამცერო  
არა მაქეს რა; ეს ამბავი მისმა უცელა მცნობებმაც იციან. რომ  
ცილი არავინ დაძვას ამ ცნობების სიმართლეში, ამის  
დასამტკიცებელათ მე აქ მოვიყენ ერთს ადგილს მისის

წერილიდგან, რომლიდგანაც იმედი მაქეს რომ მკითხველი  
შეიტყობს ჩემი ცნობების სიმართლეს; ამ წერილის პარიც  
შენახული მაქეს, რომ ვინიცობა არის და ვინმერ ეჭვი შე-  
მოირანოს ჩემის სიტყვების სინაზღვილეში, რომ მაშინ მე  
თამამად შემძლოს ჩემი ნათქეამის და დაწერილის დამტკი-  
ცება. აი ის ადგილი: «მარ ზაქარია! «დროებაში» ლექ-  
სებს ვგანვიდი, მაგრამ არც ერთი არ დაბეჭდილა, ზოგისა  
მითხრები: «ალიოგრულია»—თუ რაღაც ჯანაბაა და ზო-  
გისა რა. ეხლა არ ვიყი, როგორ დაესწერო? რედაქტორს  
მოვაწონო, თუ მკითხელს? შარშან წინ ყიფშიძემ გლეხის  
პასუხი (ლექსია) დაიწუნა, იმისთვის, რომ გლეხი ამორბს:  
«ჩემი მიწა—ქალაქით და გუთანი—კალამით და ოფლი  
მელანიით». ეს ვაეკვადის აზრია და ამისთვის ვერ დაებეჭ-  
დომო. «ჩილიკობა» უტჩენებ და ეს აკაკის ლექსს ჰგაესო.  
ზემოსხენებული გლეხის პასუხი გორჩიდმ გამოვგზაუნე და  
მაჩაბელს «ლროების» პოსტით მოეწერა: «ლექსი კარგია,;  
მაგრამ ვერ დაებეჭდამო». როდესაც ქალაქში ჩამოველი,  
ხელ მეორეთ მიუტანე და ეკითხე: თუ კარგია რატომ არ  
დაბეჭდოთ მეთქი? «იმისთვის, რომ—მიპასუხა მან—გლეხის  
პირით იძხი; რათ მინდა თქვენი ანბანი, რათ მინდა თქვე-  
ნი დაეთარიო; მითომ და გლეხს სწავლა არ უნდაო!», ი.  
გოგებაშეილმა რაღაც წასჩურჩულა და მერე მითხრა მა-  
ჩაბეჭდმა დაებეჭდა და კიდევ დაიბეჭდა ორივ ეს ლექსე-  
ბი: «გლეხის პასუხი» და «ჩილიკობა». მოდი და ეხლა  
გამოტუნებ, რატო არაფერს სწერო!!» 1884 წ. ქ. გორი.

---

საცოდავი დაეთაშვილი ისეთი თვისების და საწყალი  
ხასიათის კაცი იყო, რომ მას თავის თავის სიმდიდრეთ

და დილებათ მხოლოდ თეის ლექსები მიაწნდა. ეს ცში-  
რად ივონებდა დაეთ გურამიშვილის სიტყვებს, რომ «მე  
ჩემი ლექსები ვაშეილეთ» და მეც ესევე ვფიქრობ, რომ  
ჩემი სიკედილის შემდეგ მოსაგონებლათ, ჩემ შვილათ,  
ლექსები დამზრჩება; ერთი სიტყვით მრთელი ჩემი სიძღი-  
ლე და იმედი მხოლოდ ეს არისო და დევ ლატაკათ მოკ-  
კვდე, ოღონდ ლექსები კი მექნესო. ამაგბის მეოხებით  
ისეთი თავ-მოყვარეობა ჰქონდა, რომ ვინც კი მისს ლექ-  
სებს დაბეჭდავდა, ის მაშინათვე მზათ იყო, რომ არამეტ თუ  
ფულით დახმარებიყო, არამედ საუკუნით მათ მოსამსახუ-  
რეთ განხდებოდა. ამ ამის მიზტიზი იყო, რომ იგი უკანა-  
სკენელს დროს თავის ხელობაზე ერთობ გაზრმავდა და  
სულ რედაქტურის დალიოდა, იქ კი, რასაკეირეელია რედაქ-  
ტორის მოსამსახური პირებს ემსახურებოდა. ერთის სიტყვით  
ამათი საწყალი ხასიათის კაცი იყო დავითაშვილი და მით  
გებლობდნენ სხევები და რაც კი ამათ საქმე აუჩიდებო-  
დნეთ გასაკეთებელი, ან გასაგზავნი, ყველგან მას საქმაც-  
დნენ და გზავნიდნენ. ერთის სიტყვით მას ატარებდნენ,  
როგორც მოსამსახურებს, რომელსაც შრომის ფასში ხან-  
დისხან თითო ლექსისაც დაუბეჭდავდნენ. ერთ დროს ეს  
«იერისასაც» ატარებდა და გინდ ას შრომაში მისთვის  
ფულიც რომ არ მიეცათ, ის უამისოთაც კმაყოფილი იქნე-  
ბოდა და არას სთხოვდთ, ოღონდ კი ხანდისხან მისთვის  
ლექსები ებეჭდათ. მე ბევრჯერაც იგი გავიკცე ამაზე, რომ  
თუ მცროდდნი მანც გაქცს შენი თავ-მოყვარება, დაანე-  
ბე თავი ჩაგრე უბრალოთ აქეთ-იქით თრევასა და ნურა-  
ვის ეხვეწები და ელრიტინები, რომ ლექსები დაგიბეჭდონ  
შეთქი. დასწერე აამდენიმე ლექსი, შეაგრივე და «ცურ-

რიერთა ცალკე წევნათ გმოქსულთ მეთქი, მაგრამ მას ჩეინი რედაქტორის ასეთი მოქმედება უხეთქავდა გულს და ბოლოს ამითა იქამდისაც მიეიღა, რომ გზა და კვალიც აერია და თავის საქმეზე ერთობ გაზარმაცდა. დავითაშვილის სიზარმაცე ის ეთის ხასიათებით იყო გარემოსული, რომ მე მას ყოველთვის ზარმაცს ვეძახდი და ამას იგიც მწერს ერთს თავის ხელთ ნაწერ წერილში, რომ შენგან «ზარმაცალ წოდებულით» ეს თავის სიზარმაცით საშინელს ცუდს მდგომარეობაში ჩავარდა და ამ ცუდ მდგომარეობის უპირველეს მიზეზათ მისი ლექსების უწნობლობა და დაუბეჭდობა გახდა.

დავითაშვილის გარდაცალების და მწერლობის გამო ამას წინთ იყერია - ში ბ. ნ. ხიზანაშვილის წერილი დაიბეჭდა, რომელ წერილის გამო აქ არ შეიძლება რომ კიდევ არა ესთქათ-რა. ხიზანაშვილი სწერს, რომ დავითაშვილს ქართველი ინტელიგენციათან ჰქონდა კავშირით და იგი ამ ინტელიგენციის გავლენის ქვეშ იყო და ამიტომ იგი თავის ლექსებში ბევრჯერ ისეთ რამების ეხებოდა, რომელიც ხალხის სულს არ იზიდავს. ხიზანაშვილის ბრძანებით ასე გამოიხატება, რომ ქართველი ინტელიგენცია ისეთი ინტელიგენცია ყოფილა, რომელსაც ეცრობის ახალი სწავლა მოძღვრება კარგათ ჰქონიათ შესწავლილი, მაგრამ იგინი ამ მოძღვრების მეონებით ყველასაგან უარსაყოფელ და საგმობელ კოსმოპოლიტობის მიმართულებას დასდგომიან, რაის მეოხებით დაეითაშვილიც გაუტაცნიათ ამ მიმართულებით და წმინდა ნაციონალური ლექსების წერის კილოთიც შეუშლიათ იგი. ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ ბ. ნიკო, რომ ქართველი

ინტელიგენცია ბევრს ცოდნასა და პაპროფესიას რომ არ  
არის მოკლებული ეს ცხადი საქმეა, მაგრამ მათ რომ  
ეკროპის სწავლა მოძლეურება ფანატიკურათ სწამდეთ რამე და  
მით საკმარისათაც კოსმოპოლიტურბლენჯენ ამაზე კი ვერ და-  
გეთანხმებით, რადგანაც ეს არამც თუ ინტელიგენციამ  
იყის, არამედ თვით იმ ქართველ მრავალ მწერლებმაცა, რომელნიც ათას ნაირის განუსახლვრელის აუნებებით და  
მიმართულებით არიან საესტი. განმეორებით მოგახსენებდ  
დარბაისელონ ბატონი, რომ დავითაშვილს სრულიათაც  
არ ჰქონდა ისეთ ინტელიგენციასთან კაეშირი, როგორსაც  
თქვენ სწამებთ შას. ინტელიგენციის ზოგიერთ პირებს თუ  
დასდევდა იგი ეს მხოლოდ მიტომ, რომ მისთვის ხანდის-  
ხან თითო-ოროლა ლექსები ებეჭდათ საღმე, ინტელიგენ-  
ციის წინაშე იგი ისე დამცირებული იყო, რომ ზოგი ინ-  
ტელიგენტი ეტყოდა, რომ წალი ფაიტონი მოიკანეო,  
ზოგი ეტყოდა, რომ წალი წყალი მოიტანე და ზოგი ეტ-  
ყოდა კიდევ რომ წალი პაპიროზი მოიტანეო. დავითაშვილს  
ასეთ საქმეების გამო ჰქონდა ინტელიგენციასთან კაეშირი  
და ერთი მიბრძანეთ გეთაყავა თუ ამათგან რა განვითარე-  
ბითი მხარეები უნდა შეეძინა და რა გაელენა უნდა მიეღო?  
როცა თვით ამ ინტელიგენციასაც არავთარი დიდი ცოდ-  
ნა არა აქვე. უნდა ვსთვეათ, რომ დავითაშვილი ჩეენის  
ინტელიგენციისაგან უყიობის და უვარვისობის მეტს სხვას  
ვერაფერს შეისწავლიდა და ეს ასეც იქმნა. დავითაშვილი  
უფრო მაღლა იდგა იმ ინტელიგენციაზე, რომელ გაელენა-  
საც თქვენ აწერთ მას. დავითაშვილი უფრო გულს მოდ-  
გინეთ კითხულობდა ქართულ ჟურნალ გაზეთებს და წი-  
კნებს, ეინემც ის წამხდარი და დაშპალ ინტელიგენცია,

რომლის მსხვერპლათუ განადეთ თქვენ იგი. სამწუხაზოა  
თქვენგან მხოლოდ ის, რომ ცშირად ეიღაც კუჭ-მაძღართ  
მოქეთვე შეიღებს და მკედარის ჰაზროენებით საესე მაშე-  
ნიერებს ინტელიგენციის ნამდვილ პირებათ სთელით და  
დიდს მნიშვნელობასაც აძლევთ.

ერთ ალაგას იმასაც ბრძანებთ ბ. ნიკო, რომ დაეითა-  
შეოლი «ცშირად ეკოპის ნაცესხებ ჰაზრებს იღებდა და  
ჰქალაგებდათ». ეითომუ დაეითაშეიღლი პირეელ ხანებში ამ  
მიმართულებას სდგმია და ამისთვის რომ უფარვისობა შე-  
უმჩნევნია, ბოლოს კი ამისთვის თავი დაუნებებია და წმინ-  
და ნაციონალურს გზას დასფრომა. თქვენის ბრძანებიდამ  
სჩანს, რომ ეკროპიული მოძლეურება და სწავლა-განათლება  
ჩენენს გახტანგს, ვახუშტს და სხვა ასეთ ხლამებთ სისულე-  
ლებზე დაბლა მდგარა. კეთილი. ასეთი შეკუდომა მხოლოდ  
ისეთ კაცს ეპატიება, რომელიც დღეს სცოცხლობს, მა-  
გრამ გონიერა და ფეხი კი ისევ წარისულ საუკუნის უმეტება-  
ში უდგა. მე ამას ეყრ გაყადრებთ თქვენა, რადგანაც თქვენ  
ბრძანდებოდით იურიდიულს ფაკულტეტზე და მოგისმერიათ  
იურიდიულიერ მაღალი სწავლა ოსტატობა, მაგრამ ეს კი ვე-  
რაფერი მოგიყიდათ, რომ ეკროპიული ჰაზრები ჩენებურს  
სიძელეთა სისულელებზე დაბლა დააყენეთ და გაცალეთ.

როგორცა სჩანს, გამოჩენილს ხიზანაშეიღლს ეკროპის  
ჰაზროენებაზე სუ სხვა მოწალმართული შეხედულება ჰქო-  
ნია. სჩანს, რომ ეკროპის სწავლა მოძლეურებას ჩენთვის  
არაფერი სიკეთე მოუტანია და ჩენ ჩენის გონების გან-  
სანათლაგათ ჩენი მამა-პაპანი უნდა ვიწამოთ და მათგან  
დატოვებული ძელი ყარტლიან ზღაპრული წიგნები. სჩანს,  
რომ ბ. ხიზანაშეიღლიც ამ მწერლების და ნაწერების საშუა-

ლებით განათლებულა და თავის შეხელულებაც ჩერნის ცხონებულის მელექსეთა ტებილის ლექსებიდამ შეუსწავლია.

«ბალხის ბეჩაობნის მოძებნა, მის წყლულთა მკურნალობა პოეტის საქმე არ იყოვთ! ბრძანებთ კიდევ! ესეც მალინ კარგი და პატიოსანი, რომ ასე გულ დალიჯებრთ გვაურნბეთ თქვენი შეხელულება. მაგრამ ერთი გვიბრძანეთ გეთაყეა, თუ მაშ რას უნდა ელტოლევს და ემსახურებოდეს პოეტი, თუ არ იმას რასაც თქვენ პოეტთათვის სავალდებულოთ არ სთელით. ნუ თუ დღევანდელი პოეტები იმ ბეჩობნის წამლის და მკურნალობის მომქებნი არ უნდა იყენებო, რასაც თქვენა ბრძანებთ. ნუ თუ დღევანდელი ერის ცხოვრების სურათები საკმარის საბუთს არ იძლევიან, რომ ჩენთვის დღეს გრ. ორბელიანის, ალ. ჭავჭავაძის, ე. ორბელიანის, ბესიკის, თუმანიშვილების, საათნავასი, სკანდაროვის, გიგიშვილის და სხვა ამისთანა პოეტებისთანა პირნი საჭირონი აღარ არიან. ნუ თუ ამ ფაშ პაპა პირების მოჭმის დრო არ მოვიდა, ნუ თუ ჩენი ცხოვრება და მდგომარეობა კიდევ საჭიროებს ამ პირთა უეიცურს სტენას. ჩენ კი აღარ ესაჭიროებთ ამათა და თქვენი კი არ ვიცით! ნუ თუ დღევანდელს პოეტებს კიდევ შეჰურით, რომ იგინი თეალებ ახვევულნი ბრძან უნდა ემსახურებოდნენ იმ თავიანთ კერძო სიამოინებასა, რასაც ჭავჭავაძები, ორბელიანები და სხვები ელტოლევ! გასაკვირევლია და საკირველი ეს მით უფრო, რომ თქვენ დღეს ერთი უკიდურესი მიმართულების მიმდევარი ბრძანდებით და ხეალ კი სრულიად სხვა კაცათ იბადებთ! იქმნება ეს იურისპრუდენციის მანქანება არის? თქვენს შეუღლომებზე თქვენვე კარგათ დარწმუნდებით, მაგრამ ბოლიშის მოხდას კი ისევე

ვერ გაბედავთ და ვერ იყადრებთ, როგორც ლომაურის წინაშე არ მოინდომეთ «ძროება»-ში. თქვენის შენიშვნებით მე ეს დასკვნა გამოვიყვანე, რომ თქვენ ცხარე თანა მომხრე ყოფილხართ ჩერის ბრძა იღიალისტ პოეტებისა, რომელნიც თავიანთის შეკლარის კაბინეთურის პაზროვნებით ლამის სრულიად კრეტინებათ გადიქტენ. სჩანს, რომ შენ ამ კრეტინებთაგან რამჟ ჯილდოს გამოელი, ანუ დაუნის ფოთლებით შემკულს გვირგვინს. თქვენის შეცდომის შეოხებით მე ასე ვფიქრობ, რადგანაც თქვენმა იმ პატარა შენიშვნამ უშეელებელი ხახი გააელო თქვენ გვარ შწერლებს და ისეთ შწერლებით შორის, რომელნიც ასეთი მოწალმართულის შეხედულების მკაცრი მოწინაღმდეგენი იყენენ და ყოველთვის და ყოველგან ამას უარს ჰყოფლენ, სჩანს რომ ეცროპაში და რუსეთში პრუდონიც შემცდარი ყოფილა, ჩერნიშევსკიც, ბელინსკიც, პისარევიც და მრავალი სხევებიც და ჩერნში მხოლოდ თქვენა ბრძანებულხართ შეუცდომელია. ან ასე უნდა იყოს და ან არა სხეა ნაირათ უნდა აიხსნას საქმე, მაგრამ ამ ახსნას ჩერნ არ გავაძრებთ პატივცემულო ხიზანა-შეილო და ასეთი შემცდარი პაზრების გამოთქმას კი ჩერნ არავის ეპატივებთ და გინდ რომ ჩერნ ც ვაპატიოთ, მაინც დრო მოვა, როცა დრო დასამშა თევის ძალიერ კლანჭების ბრძება-ლებს ამ გვარ შეცდომების მთქმელს მწერალს და მაშინ კი უფრეველი საქმეა, რომ თქვენგან ძაგებულ წყლულთა მცურნალი პოეტებიც ბევრათ ძეირფასათ დაფასდებიან, ვიდრე ის ჩიტუნია შაშები, რომელნიც თქვენის შეხედულებით თეალებ ახევულნი უშინაარსო მხატვრობას უნდა ემსახურებოდნენ. ზემოთაც მოგახსენეთ და აქაც გეტუეთ, რომ თქვენ გვარი შეცდომების თქმა ჩერნში მხოლოდ მაშინ

შეიძლებოდა, როცა ჩვენ ჭავჭავაძების და ორბელიანების შემყურებელნი ვიკავით და ჩვენს გონებითი აღორძინების ძალას ესენი წარმოადგნდნენ მისთანა ბედურულს მხა-რეში, სადაც უკიც და უგვან პავტებისაგან არას დროს სახალხოთ ერთი სიტყვაც არ თქმულა. ასეთი პავტების ოცნებები და მოღვაწეობა დიდი ხანია რაც დაიღეწა და აღიგვა დედა-მიწიდამა და იგი დღეს თუ არის კიდევ საბმე, ეს ქვეყნის მჩაგრელ მისთანა ეგოისტ მწერ-ლებში და პირებში, როგორიც ჩვენი მაწინავე მწერ-ლები იყვნენ და რომელთაც აურიცხველი ყმა და მონე-ბიც ჰყანდათ. მაგრამ რა სთქას კაცმა, შეუცდომელი არავინ არის, ქართველ ციტოვიჩ მწერლების მეოხებით და ჩვენებით უნიჭიერესა და ძრიელი კრიტიკოსი პისარევი თავით ფეხამდის სრულს შეცდომას და უკიცხბას წარმო-ადგენს და ჩვენში ხისანაშვილს რომ რამე შეცდომები წაუძლევს წინ, ამაზე მას აბა ეინ გაპეტაძეს. ასე ყოფი-ლა თურმე, რომ პავტეს ხალხთან საქმე არა ჰქო-ნია, ეს მისი ვალდებულება არა ყოფილა თურმე, მი-სი მოვალეობა ყოფილა ქალების შექმნა, საყვარელე-ბისა და ანუ ისეთის შთენთ დიდებულო პალატებისა, რომლის აღსაგებათაც ათასობით და ორი ათასობით და აუარებელი ოფლიც დაღერილა. მაგრამ ისიც უნ-და ესთქვათ, რომ განა ორბელიანების და ჭავჭავაძები-საგან აღზრდილი მწერლები კი არა გეყვანან, მაში გივი-შეილი და სკანდარნოვი ეინ არიან, თუ არ მათგან გა-წურთვნილი და ნამდებილი შეილნი ქართულის მწერლო-ბისა. კეთილი და სამასხსოვრო იურს ამ მწერლის ასეთი საქ-ციელი ჩვენს მწერლობაში და გავახსენებთ ბ. ხისანაშვილს,

რომ მას თავის შეცდომას სხვათა შეცდომის მეონხებით უნდა მიკელოდა და აწუ ისეთ მწერალთ ნაწერებიღამ, როგორც არის ბურეულზეული მიმართულების მწერალი ტენი და სხვა ამის მსგავსი მწერლები, რომელთაც პოეტებზე ისეთივე შეხედულების აქტო, როგორც ხიზნა შეიძლს და ცხად საქმეა, რომ ამისთან პირისთვის დაეითა შეიძლს არაფერი მნიშვნელობა არ ექმნება და ეს თავის ლექსებით სრულს შეცდომათ იქმნება აღიარებული.

მაგრამ ენიც რამ უნდა სთქას და ეურ. «იმედის» თანამშრ. ჟატრუცმულ ხიზანაშეცრმის არადენიც უნდა უსაყველუროს დაეითა შეიძლს, ჩენ მინც სუ სერა შეხედულება გვაქვს მას ლექსებზე და სუ სხვა მნიშვნელობას ვაძლევთ, რაღვნაც როცა კაცი კითხულობს დაეითა შეიძლს ლექსებს, ის რწმუნდება იმაზე, რომ მისი ლექსის შინაარსნი როდი უნდა იყვნენ კაბინეტურა მკედარი ფანტასის ნაყოფნი, არამედ იგინი რიან პირ-და-პირ ცხოვრებიდამ ამოტლეჯილნი და მოკლებულნი ისეთ იდიალისტურს ასტარობას, როგორც სხვა კაბინეტურამა მწერლებმა იყიან. დაეითა შევლმა კარგათ იკოდა, რომ ის სხვა კრუ სტეფანა გოდებოთ ხალხს თვალიდა კრიმლს ვერ მოსწმნდა, ხალხის ვაებას ვერას უშევლიდა და ამიტომ იგი ყოველთვის და ყოველგან თავის ლექსებში გულ მართალ და პატიოსან ჰუმანიტარ ჰაზრების მქონე შელექციები იხატება, ამის ლექსებში გამოიხატება ის, რასაც ის მუდმივ დღი ხედავდა ხალხის ცხოვრებაში, სადაც თვით იმყოფებოდა და სტხოვრებდა, იმ ხალხში სადაც იგი დაიბადა და გაიხრადა. ამ ხალხის მფგომარეობა მისთვის იქმდის განუზომელი იყო, რომ ის ამას არც ერთ ლექსის სტრიქონშიაც კი არ იყიშუმდა და განა ასეთი პირის გაიცევა და გაკიცევა ისიც მცედარის მხატვრობის და ესტრეტიკის გმო შესაწყნარისი და საკულტისია და ისიც იმისთანა პირისაგან, როგორც ხიზინა შეიძლოა?!

ମହାଲ୍ଲେଖ ଲାକ୍ଷ୍ମୀପୁରୀ

କାନ୍ତିଶାଲା ମହାଲ୍ଲେଖପା XIX ଲାଖ.

ଯାଏଇ ଲୋକ ଜୀବନ.

